

"უსახლკაროთა პრობლემების გაშუქება ქართულ ონლაინ მედიაში"

*ნინი გაბისონია, ელენე ასაშვილი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების
ფაკულტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი*

სარჩევი:

1. აბსტრაქტი 1გვ.
2. შესავალი 2გვ.
3. ლიტერატურის მიმოხილვა 2გვ.
4. მეთოდოლოგიის აღწერა 3გვ.
5. ძირითადი მიგნებები 3გვ.
6. დასკვნა 5გვ.

აბსტრაქტი:

კვლევის ფარგლებში სექტემბრიდან თებერვლის ჩათვლით, ანუ წელიწადის ყველაზე ცივ პერიოდში, დავაკვირდით ექვს ყველაზე რეიტინგულ ქართულ ონლაინ გამოცემას (Publica.ge, Ambebi.ge, Netgazeti.ge, On.ge, Reportori.ge, Tabula.ge), რათა დაგვედგინა თუ როგორ შუქდება უსახლკაროთა თემა და რა სტანდარტებით ხელმძღვანელობენ ქართველი ჟურნალისტები. ჩვენი კვლევა გულისხმობს როგორც რაოდენობრივს, ასევე თვისებრივ მეთოდოლოგიას, რადგან რამდენადაც საინტერესოა რა სიხშირით შუქდება უსახლკაროთა ყოფა, იმდენად მნიშვნელოვანია გამოქვეყნებული სტატიების შინაარსი. გარდა ამისა, კვლევის შედეგების გასამყარებლად ჩავატარეთ ოთხი ინტერვიუ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ექსპერტთან.

გამოიკვეთა, რომ უსახლკაროთა პრობლემები არა თუ სრულფასოვანი სტატიების სახით, საერთოდ არც კი განიხილება ქართულ ონლაინ გამოცემებში. ამ თემატიკის გარშემო ძალიან იშვიათად ქვეყნდება ახალი ამბავი, თუმცა როდესაც იწერება, ჟურნალისტები უცხოელი უსახლკარო ადამიანებისა თუ ძაღლების იღბლიან ან/და სახალისო ამბებს ჰყვებიან.

შესავალი:

უსახლკაროთა პრობლემებისა და ყოფის გაშუქება, მითუმეტეს შემოდგომასა და ზამთარში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახურავის გარეშე დარჩენილი ადამიანებისთვის. მაშინ, როდესაც ადამიანების სიცოცხისგან ილუპებიან ქუჩებში, ყურადსაღებია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. მსგავსი ტიპის სოციალური პრობლემების გაშუქება, ინტერნეტის ეპოქაში, ონლაინ სივრცეში უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ ამ პრობლემის შესახებ ისედაც იცის, მედიას როგორც მეოთხე ხელისუფლებას შესწევს ძალა, ადამიანებს მოქმედებისკენ მოუწოდოს. კვლევის მთავარი სამიზნე აუდიტორია ჟურნალისტები არიან, რომლებიც უნდა დაფიქრდნენ რას და რატომ აშუქებენ და თავიანთი საქმიანობა მოსახლეობის კეთილდღეობისკენ იყოს მიმართული.

კვლევის შედეგი მიგვანიშნებს იმაზე, რომ უსახლკაროთა პრობლემებით ქართული რეიტინგული ონლაინ მედია საერთოდ არ ინტერესდება. ამ კვლევით საზოგადოებას ვაჩვენებთ, რომ პრობლემა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მედიაში სათანადო რაოდენობით და სახით არ შუქდება და უსახლკაროთა საკითხს მეტი ყურადღების დათმობა ესაჭიროება.

მეთოდოლოგია:

ჩვენი კვლევა მიეკუთვნება, როგორც რაოდენობრივს, ასევე თვისობრივ ტიპს, რადგან რამდენადაც საინტერესოა რა სიხშირით შუქდება უსახლკაროთა ცხოვრება, იმდენად საინტერესოა თუ რა ფორმით ხდება მათ შესახებ ამბების მიწოდება საზოგადოებისთვის. ამ ტიპებით ვადგენთ არსებული მონაცემების რაოდენობას, სიხშირეს, მასშტაბს. კვლევის მთავარი ფოკუსი ფაქტები და რაოდენობაა, რომელიც საბოლოო შედეგს განსაზღვრავს.

დაკვირვებისთვის ჩვენ შევარჩიეთ ექვსი მედია საშუალება, ესენია: IPN.ge, Netgazeti.ge, Ambebi.ge, On.ge, Tabula.ge და Reportiori.ge. ონლაინ პლატფორმები შევარჩიეთ იმ პრინციპით თუ რა სახის ახალ ამბებს აშუქებენ ისინი, რა სიხშირით, რამდენად დიდი პოპულარობით გამოირჩევიან და რამდენად სანდოები არიან. ამ საიტებზე ჩვენ ექვსი

თვის განმავლობაში, 2019 წლის სექტემბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით, ვაკვირდებოდით თუ რა სიხშირით და რა სახით შუქდებოდა ჩვენი თემა, „უსახლკაროთა პრობლემების გაშუქება ქართულ ონლაინ მედიაში“. ჩვენს კვლევაში ასევე გამოვიყენეთ ინტერვიუების ტექნიკა. გავესაუბრეთ EMC-ს სოციალური პროგრამის დირექტორს - კოტე ერისთავს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მედია ანალიტიკოსს - მამუკა ანდლულაძეს, სოციალურ მუშაკს - თამუნა წიკლაურს და უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის კომისიას. რესპოდენტები შევარჩიეთ იმის მიხედვით, თუ რამდენად კომპეტეტურები არიან ჩვენს მიერ არჩეულ თემაში, რამდენად ადეკვატურები და ობიექტურები იქნებიან და რამდენად შეაფასებენ მედიასაშუალებების მოპყრობას ამ თემასთან მიმართებაში.

ძირითადი მიგნებები:

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ეს პრობლემა, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ არც თუ ისე სერიოზულად არის აღქმული, როგორც ეს წარმოგვედგინა. ჩვენ მიერ შერჩეულ მედია საშუალებებში, IPN.ge, Netgazeti.ge, Ambebi.ge, On.ge, Tabula.ge და Reportiori.ge, ეს თემა 6 თვის განმავლობაში სულ 35-ჯერ გაშუქდა.

On.ge-ს 6 თვის განმავლობაში უსახლკაროთა თემატიკაზე სულ 12 ნიუსი აქვს გამოქვეყნებული, რომელთაგან მხოლოდ ორი ეხებოდა საქართველოს, ისიც ბათუმში მცხოვრებ უსახლკარო ძაღლს, რომელიც ცნობილი გახდა იმით, რომ ბავშვები ქუჩაზე გადაიყვანა.

Tabula.ge-ზე სექტემბრიდან თებერვლის ჩათვლით სულ 3 ახალი ამბავი შემხვდა უსახლკაროების თემაზე. აქეიდან, On.ge-ს მსგავსად, იანვარსა და თებერვალში ბათუმელი უსახლკარო ძაღლის ორი ნიუსი იყო, რომელმაც სკოლის მოსწავლეები გზაზე გადაიყვანა.

Reportioti.ge-ს 6 თვის განმავლობაში სულ 4 ნიუსი ჰქონდა. აქეიდან ორი დეკემბერსა

და იანვარში. "ზაზა გაბუნიას ხელმძღვანელობით, თემატური მოკვლევის ჯგუფმა უსახლკარობის საკითხებზე სხდომა გამართა" - ეს არის თემა რომელზეც ოთხივე ახალი ამბავია დაწერილი, თუმცა არც ერთი მათგანი არ გვაძლევს ზოგად სურათს პრობლემის შესახებ.

On.ge-ზე ამ თემასთან დაკავშირებით, 6 თვის განმავლობაში სულ 8 ნიუსი დაიწერა, რომელთაგან უმეტესობა იყო საკანონმდებლო განხილვა, ხოლო ორი ნიუსი კონკრეტულ პირებს ეხებოდა, რომლებსაც მერიამ საცხოვრებელი გადასცა.

Ambebi.ge-ზე სულ ეს პრობლემა სულ 4-ჯერ გაშუქდა. აქედან ერთი მოგვითხრობს ქალთა ძალადობაზე, მეორე კი გვიყვება კონკრეტული პირის ისტორიას. დარჩენილი ორი ნიუსი კი არის იგივე რაც გვხვდებოდა ipn.ge-ზე, ვიგებთ, რომ მერიამ სახლი უსახლკაროებს გადასცა.

Netgazeti.ge-სე შეგვხვდა 4 ნიუსი. ერთი კვლავ მერიის მიერ გადაცემულ საცხოვრებელს ეხებოდა, ხოლო დარჩენილი ნიუსები ეხებოდა იმას, თუ როგორ ვერ უზრუნველო ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა საცხოვრებლით უსახლკარო ადამიანები და ერთი ნიუსი დევნილ ადამიანებს შეეხებოდა.

საერთო ჯამში, ნიუსები არ ასახავდა პრობლემას ძირფესვიანად, თუ როგორ პირობებში უწევთ უსახლკარო ადამიანებს ცხოვრება წლის ყველაზე ცივ პერიოდშიც კი. ნიუსების რაოდენობაში, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ რამდენიმე მიეკუთვნებოდა მსოფლიო ამბებს, მაგალითად: ილბლიანი უსახლკაროები ამერიკაში, რომლებმაც ფულადი დახმარება მიიღეს, უსახლკარო ცხოველები საზღვარგარეთ და ასე შემდეგ. აქვე გეტყვით იმასაც, რომ კვლევის შედეგად გავიგეთ ის, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები იმისა, თუ რამდენი უსახლკარო ადამიანია საქართველოში.

რაც შეეხება ინტერვიუებს, რომლებიც ჩვენ ჩავწერეთ, EMC-ს სოციალური პროგრამის დირექტორმა - კოტე ერისთავმა განაცხადა, რომ ეს თემა დღევანდელ მედიასაშუალებებში ფაქტობრივად არ შუქდება. ის აღნიშნავს, რომ კორონავირუსის პანდემიის დროსაც კი, როდესაც ხელისუფლება საზოგადოებას შინ დარჩენისკენ მოუწოდებდა, უსახლკაროთა დასახმარებლად არაფერი კეთდებოდა და არავინ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ იმის გამო, რომ მათ არ აქვთ შინ დარჩენის და

თვითიზოლაციის საშუალება ისინი დიდ რისკ ფაქტორს წარმოადგენდნენ. უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის კომისიამ კი ამ თემაზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. სიციალურმა მუშაკმა, თამუნა წიკლაურმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, მისთვის მოსალოდნელი იყო კვლევის შედეგები, რადგან უჭირს უსახლკაროთა პრობლემაზე სიღრმისეული, ანალიტიკური სტატის გახსენება, ხოლო ის რაც შუქდება, მისი დაკვირვებით, ზედაპირულია და ეპატაჟზეა აგებული. აღსანიშნავია, რომ მისი აზრით უსახლკაროთა თემა არ არის საკმარისად აქტუალური მკითხველებისა და ჟურნალისტებისთვის იმისთვის, რომ გაშუქდეს და, ზოგადად, სოციალური პრობლემების მიმართ დაინტერესება ნაკლებია. არც მამუკა ანდლულაძეს გაკვირვებია კვლევის შედეგები, რადგან წამყვან მედიებში სოციალური თემები მთავარ ამბებად არ განიხილება. მისი დაკვირვებით, ჩვენ მიერ დასმული პრობლემა შუქდება მცირე დოზით, თუმცა გაშუქება პრობლემის სიმძაფრესთან პროპორციული არაა. მისი განმარტებით უსახლკაროთა პრობლემა პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი მთავარი თემა უნდა იყოს, რომელიც ან პოლიტიკოსებისგან უნდა მოდიოდეს ან საჯარო დისკუსიის საგნად უნდა გახადოს თავად მედიამ.

დასკვნა:

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საკვლევ შეკითხვაზე, „რამდენად აქტიურად და რა სახით შუქდება უსახლკაროთა პრობლემები ქართულ მედიასაშუალებებში?“ პასუხი არც თუ ისე დადებითია. საქმე იმაშია, რომ ჩატარებული კვლევიდან გავიგეთ, რომ ეს პრობლემა ფაქტობრივად არ შუქდება და იმ შემთხვევაში თუ შუქდება, მას არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მაშინაც კი, როდესაც უსახლკარო ადამიანებს ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება, რა კეთდება მათ დასახმარებლად ან კეთდება თუ არა საერთოდ რაიმე უცნობია. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მედიასაშუალებების მიერ წინა პლანზე წამოწეულია უფრო სხვა სახის ახალი ამბები ვიდრე ის რა თემასაც ჩვენ შევვებით. არც ერთი მედიასაშუალება იმაზეც კი არ

საუბრობს, თუ რატომ არ არის შექმნილი უსახლკარო ადამიანების სტატისტიკური რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში და მითუმეტეს არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა კეთდება ამ ადამიანების დასახმარებლად. ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებით წლის ყველაზე ცივ დროს, დეკემბერში, იანვარში და თებერვალში, მედიასაშუალებებში შუქდება სხვა სახის ახალი ამბები და სხვა სახის პრობლემები და არც ის მესიჯები იგზავნება მათი მხრიდან, რომ უსახლკარო ადამიანებს დახმარება ყველაზე მეტად სწორედ ამ დროს სჭირდებათ.